

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს „ტრანსსერვისი“

(ს/ნ 206047874)

27 სექტემბერი 2024 წ.

## შინაარსი


|                                                     |      |
|-----------------------------------------------------|------|
| სრული შემოსავლის ანგარიშგება.....                   | 3    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....            | 4    |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... | 5-20 |

სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                                        | შენ, N | 2023      | 2022         |
|--------------------------------------------------------|--------|-----------|--------------|
| შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან                  | 5      | 3,280,315 | 2,826,573    |
| შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან                      | -      | -         | -            |
| სხვა შემოსავლები                                       | -      | -         | -            |
| სულ შემოსავალი                                         |        | 3,280,315 | 2,826,573    |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                  |        | 25600     | -            |
| წმინდა შემოსავალი                                      |        | 3,254,715 | 2,826,573    |
| ადმინისტრაციული ხარჯი                                  | 6      | (895,798) | (800,801)    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                   | 7      | (193,362) | (185,878)    |
| კომუნალური ხარჯები                                     | 8      | (139,873) | (113,959)    |
| საერთო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები              | -      | -         | -            |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                                  |        | (330,431) | (395,923)    |
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება               |        | 1,695,251 | 1,330,011    |
| ფინანსური შემოსავალი                                   | 9      | 598,730   | 1,929,371.05 |
| ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები              |        | (820,190) | (1,406,755)  |
| წმინდა ფინანსური (ხარჯი) / შემოსავალი                  |        | -221,460  | 522,616      |
| მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს (ზარალის)/მოგების წილი | -      | -         | -            |
| მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე                 |        | 1,473,791 | 1,852,627    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                              | -      | -         | -            |
| წლის მოგება                                            |        | 1,473,791 | 1,852,627    |
| შეწყვეტილი ოპერაციები                                  | -      | -         | -            |
| სხვა სრული შემოსავალი                                  | -      | -         | -            |
| სრული შემოსავალი წლის განმავლობაში                     |        | 1,473,791 | 1,852,627    |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2024 წლის 31 მაისს.

/ბექა მახარაძე/  
დირექტორი

/იზოლდა ნიბლოშვილი/  
მთავარი ბუღალტერი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება       |        | შპს „ტრანსსერვისი“ |                   |                   |
|------------------------------------------|--------|--------------------|-------------------|-------------------|
|                                          | შენ. N | 2023               | 2022              | 2021              |
| <b>აქტივები</b>                          |        |                    |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>             |        |                    |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                     | 10     | 2,325,513          | 2,445,759,16      | 2,626,116         |
| არამატერიალური აქტივები                  |        | 410,41             | 710,41            | 2,212             |
| მონაწილეობა სხვა საწარმოში               |        | -                  | -                 | -                 |
| გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები  | 11     | 10,588,439         | 10,360,434,74     | 10,743,934        |
| გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები |        | -                  | -                 | -                 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები       |        | -                  | -                 | -                 |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |        | <b>12,914,362</b>  | <b>12,806,904</b> | <b>13,372,262</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                |        |                    |                   |                   |
| მარაგები                                 | 12     | 19,404             | 49,734            | 19,906            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები               | 13     | 3,535,550          | 3,498,347         | 3,706,639         |
| გაცემული სესხები                         |        | -                  | -                 | -                 |
| მომწოდებლებზე გაცემული ავანსები          |        | -                  | -                 | 37091             |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები          |        | 2,593              | 19,203            | -                 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები    | 14     | 828,066            | 747,646           | 478531            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |        | <b>4,385,613</b>   | <b>4,314,931</b>  | <b>4,242,167</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                      |        | <b>17,299,975</b>  | <b>17,121,835</b> | <b>17,614,429</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>         |        |                    |                   |                   |
| <b>კაპიტალი</b>                          |        |                    |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                       |        | 1,300              | 1,300             | 1,300             |
| სარეზერვო კაპიტალი                       | 15     | 275,606            | 275,606           | 275,606           |
| გაუნაწილებელი მოგება                     |        | 10,433,674         | 8,959,882         | 7,107,256         |
| დაგროვილი ზარალი                         |        | -                  | -                 | -                 |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |        | <b>10,710,580</b>  | <b>9,236,789</b>  | <b>7,384,162</b>  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>        |        |                    |                   |                   |
| სესხები და კრედიტები                     | 16     | 6,209,336          | 6,209,057         | 7,730,959         |
| რესტრუქტურირებული ვალდებულებები          |        | -                  | -                 | -                 |
| აქტივებთან დაკავშირებული გრანტები        |        | -                  | -                 | -                 |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |        | <b>6,209,336</b>   | <b>6,209,057</b>  | <b>7,730,959</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>           |        |                    |                   |                   |
| სესხები და კრედიტები                     |        | -                  | -                 | -                 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 17     | 380,059            | 1,675,989         | 2,478,370         |
| საგადასახადო დავალიანებები               |        | -                  | -                 | 20,939            |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>           |        | <b>380,059</b>     | <b>1,675,989</b>  | <b>2,499,308</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                 |        | <b>6,589,395</b>   | <b>7,885,047</b>  | <b>10,230,267</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |        | <b>17,299,975</b>  | <b>17,121,835</b> | <b>17,614,429</b> |

## 1. ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს „ტრანსსერვისი“ არის 1996 წლის 09 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად რეგისტრირებული (რეგისტრაციის N7/4-511) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მინიჭებული აქვს ს.ნ 206047874

საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან წამებულის ქ. №98 .

საწარმოს ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს უძრავი ქონების მართვა და გაქირავება, კერძოდ: მეორადი ავტონაწილების ბაზრობის ორგანიზება, ტანს აცმლის ბაზრობის ორგანიზება, კომერციული უძრავი ქონების გაქირავება, სასაწყობე უძრავი ქონების გაქირავება.

| საწარმოს პარტნიორი           | 31.დეკ.23 | 31.დეკ.22 |
|------------------------------|-----------|-----------|
| გრიგოლ მიქელაძე (0100800952) | 70%       | 70%       |
| მედეა ხონელიძე (01022001700) | 30%       | 30%       |
| ს ულ:                        | 100%      | 100%      |

2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს წილის 100%-დან გრიგოლ მიქელაძეს (0100800952) ეკუთვნოდა - 70%, მედეა ხონელიძეს (01022001700) - ეკუთვნოდა 30%.

2017 წლის ოქტომბრიდან 70%-იანი წილის მფლობელის გრიგოლ მიქელაძის სრული წილის (70%) მმართველი გახდა ნარიმან ყურბანოვი (აზერბაიჯანის მოქალაქე P1050731, 01014090880)

2022 წლის აპრილიდან 30%-იანი წილის მფლობელის მედეა ხონელიძის სრული წილის (30%) მმართველი გახდა მაია საბაშვილი (პ.ნ. 01013027808)

## 2. მომზადების საფუძველი

### 2.1. ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფას ს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული საწარმოს პარტნიორის მიერ

პარტნიორთა კრებაზე. საწარმოს პარტნიორს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომად.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

#### 3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ამ ავტომატურად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

#### 3.2. ძირითადი საშუალებები

##### 3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

- (ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ბ) კომპანიისთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

### 3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითად საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

### 3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით; (ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები; დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

### 3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

|                              |          |
|------------------------------|----------|
| (ა) შენობა-ნაგებობები        | 25 წელი; |
| (ბ) ავეჯი                    | 10 წელი; |
| (გ) კომპიუტერული ტექნიკა     | 4 წელი;  |
| (დ) სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი;  |
| (ე) დანადგარები              | 8 წელი   |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

#### 3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუიშ ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

#### 3.2.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

### 3.3. არამატერიალური აქტივები

#### 3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და

(გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

### 3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

(ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და

(ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

### 3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

### 3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

### 3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

### 3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

### 3.4. მარაგები

#### 3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია მომსახურების გასაწევად წარმოების ან პროცესში მოხმარებისათვის.
- (ბ) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (გ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან

#### 3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

#### 3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

#### 3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს

მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

#### 3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);

ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

### 3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

#### 3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

#### 3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

#### 3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

### 3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრ ულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

## 3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

## 3.7. ამონაგები

### 3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

(ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ ს აქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

### 3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

## 4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. კომპანია ლიკვიდაციას ან მისი საქმიანობის რაიმე სახით შეკვეცას არ გეგმავს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს 4 005 554 ლარით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული თანაფარდობა უზრუნველყოფს კომპანიის აუცილებელ ლიკვიდურობას, ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებისათვის 2023 წლის შემდგომ პერიოდშიც.

## 5. შემოსავალი

|                                                                             | 2023             | 2022             |
|-----------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
|                                                                             | ლარი             | ლარი             |
| 1 ავტო ნაწილების ბაზრობის იჯარა                                             | 1791009          | 1753996          |
| 2 ბაზრობიდან შემოსავალი                                                     | 27997            | 28116            |
| 3 შემოსავალი ბაზრობის ჯიხურებიდან                                           | 207476           | 221089           |
| 4 იჯარით გაცემული ფართების კომუნალურებიდან შემოსავალი                       | 102103           | 68233            |
| 5 კომერციული ფართების იჯარა                                                 | 31144            | 21356            |
| 6 საოფისე ფართებიდან იჯარიდან შემოსავალი                                    |                  | 581084           |
| 7 სასაწყობო ფართების იჯარიდან შემოსავალი                                    | 856267           | 1568             |
| 8 ავტომანქანის შემოსვლის და ავტოსადგომიდან შემოსავალი                       | 201460           | 101967           |
| 9 ავტ. ნაწილ. მიწის, ფართის იჯარიდან შემოსავალი (დამატებითი ფართების იჯარა) | 14170            | 18881            |
| 10 სხვადასხვა დამხმარე მომსახურებებიდან მიღებული შემოსავალი                 | 48689            | 30282            |
| <b>სულ საოპერაციო შემოსავალი</b>                                            | <b>3,280,315</b> | <b>2,826,573</b> |

## 6. ადმინისტრაციული ხარჯები

|                              | 2023           | 2022           |
|------------------------------|----------------|----------------|
|                              | ლარი           | ლარი           |
| 1 ხელფასის ხარჯი             | 667092.69      | 583,369.36     |
| 2 დაცვის მომსახურების ხარჯი  | 169,830.48     | 169,830.48     |
| 3 კომუნიკაციის ხარჯები       | 1640.39        | 960.15         |
| 4 საწვების ხარჯი             | 39,767.35      | 30,508.10      |
| 5 დაზღვევა                   | 15,562.84      | 14,652.14      |
| 6 ბანკის საკომისიო           | 764.59         | 463.73         |
| 7 საკანცელარო ხარჯი          | 1139.24        | 1,017.24       |
| <b>ადმინისტრაციული ხარჯი</b> | <b>895,798</b> | <b>800,801</b> |

## 7. ცვეთა და ამორტიზაცია

|                                           | 2023       | 2022       |
|-------------------------------------------|------------|------------|
|                                           | ლარი       | ლარი       |
| შენიშვნის ცვეთა                           | 139,585.75 | 140,494.99 |
| ნაგებობების ცვეთა                         | 38,110.65  | 37,499.56  |
| მანქანა დანადგარების ცვეთა                | 11191.77   | 4,662.24   |
| ოფ. აღჭ. ცვეთა გარდა კომპ, ტექ და ავეჯისა | -          | -          |
| ინვენტარის ცვეთა                          | 1,549.38   | 1,549.38   |
| ავეჯის ცვეთა                              | 338.99     | 627.36     |
| ტრანსპორტის ცვეთა                         | 554.24     |            |
| მრავალწლიანი ნარგავ. ცვეთა                | 297.44     | 297.44     |
| კომპ ტექნიკის ცვეთა                       | 1734.13    | 747.46     |
| სულ ხარჯი                                 | 193,362    | 185,878    |

## 8. კომუნალური ხარჯი

|                 | 2023       | 2022       |
|-----------------|------------|------------|
|                 | ლარი.      | ლარი       |
| ელექტრო ენერგია | 135,216.36 | 113,957.73 |
| ბუნებრივი აირი  | 4656.64    | 1.14       |
| სულ ხარჯი       | 139,873    | 113,959    |

\* ელ. ენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯი გამოყოფილია ცალკე, რადგან მათი დიდი ნაწილი მიეწოდება მოიჯარეებს და მონაწილეობს შემოსავალში. ხოლო წყლის და დასუფთავების ხარჯები ასახულია "სხვა საოპერაციო ხარჯში".

5-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## 9. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

|                                         | 2023           | 2022             |
|-----------------------------------------|----------------|------------------|
|                                         | ლარი           | ლარი             |
| საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან | 507,708        | 557,981          |
| შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან       | 90872          | 1,370,285        |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები             | 150            | 1,106            |
| ძ/საშ რეალიზაციიდან მიღებული მოგება     |                |                  |
| <i>ფინანსური შემოსავალი</i>             | <u>598,730</u> | <u>1,929,371</u> |
| საპროცენტო ხარჯები                      | 528427         | 365,643          |
| უარყოფითი საკურსო სხვაობა               | 291763         | 1,036,726        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები              |                | 4385             |
| <i>ფინანსური ხარჯები</i>                | <u>820,190</u> | <u>1,406,755</u> |

5-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## 10. ძირითადი საშუალებები

|                        | მიწა      | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობები   | ნაგებობები | მანქანა<br>დანადგარები | ავტოსატრანსპორტო<br>საშუალებები | ოფისის<br>ადრეზი<br>ილქობა<br>და<br>ინჟინტარი | მრავალწლიანი<br>ნარგავები | არამატერიალური<br>აქტივები | სულ        |
|------------------------|-----------|-----------------------------|------------|------------|------------------------|---------------------------------|-----------------------------------------------|---------------------------|----------------------------|------------|
| 2022 წლის 01 იანვარი   | 282752,80 |                             | 3753572,46 | 937488,93  | 139995,40              | 36900                           | 70820,25                                      | 8932                      | 3694,91                    | 5234156,75 |
| შემოსვლა               |           |                             |            |            |                        |                                 | 4020,34                                       |                           |                            | 4020,34    |
| ასვლა                  |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| აქცეზები               |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| 2022 31 დეკემბერი      | 282752,8  |                             | 3753572,46 | 937488,93  | 139995,40              | 36900                           | 74840,59                                      | 8932                      | 3694,91                    | 5238177,09 |
| ვეთა                   |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| 2022 წლის 1 იანვარი    | 282752,80 |                             | 1763815,05 | 611801,57  | 123776,52              | 36900                           | 62341,13                                      | 3705,33                   | 2984,50                    | 2605324,10 |
| ვეთა                   |           |                             | 140494,99  | 37499,56   | 4662,24                |                                 | 3429,19                                       | 297,44                    |                            | 186383,42  |
| ასული ძირ.საშ.ვეთა     |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| 2022 წლის 31 დეკემბერი |           |                             | 1904310,04 | 649301,13  | 128438,76              | 36900                           | 65770,32                                      | 4002,77                   | 2984,50                    | 2791707,52 |
| საბალანსო დირექტულება  |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| საბ.დირ. 01.01.2022    | 282752,80 |                             | 1989757,41 | 325687,36  | 16218,88               |                                 | 8479,12                                       | 5226,67                   | 710,41                     | 2628832,65 |
| საბ.დირ. 31.12.2022    | 282752,80 |                             | 1849262,42 | 288187,80  | 11556,64               |                                 | 9070,27                                       | 4929,23                   | 710,41                     | 2446469,57 |
|                        |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| 2023 წლის 01 იანვარი   | 282752,80 |                             | 3753572,46 | 937488,93  | 139995,40              | 36900                           | 74840,59                                      | 8932                      | 3694,91                    | 5238177,09 |
| შემოსვლა               |           | 1362,27                     |            | 47166,10   | 24586,95               |                                 |                                               |                           |                            | 73115,32   |
| ასვლა                  |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| აქცეზები               |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| 2023 31 დეკემბერი      | 282752,80 | 1362,27                     | 3753572,46 | 984655,03  | 164582,35              | 36900                           | 74840,59                                      | 8932                      | 3694,91                    | 5311292,41 |
| ვეთა                   |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| 2023 წლის 1 იანვარი    | 282752,80 |                             | 1904310,04 | 649301,13  | 128438,76              | 36900                           | 65470,32                                      | 4002,77                   | 3284,50                    | 2791707,52 |
| ვეთა                   |           |                             | 139585,75  | 38110,65   | 11191,77               |                                 | 4176,74                                       | 297,44                    | 300                        | 193662,35  |
| ასული ძირ.საშ.ვეთა     |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| 2023 წლის 31 დეკემბერი |           |                             | 2043895,79 | 687411,78  | 139630,53              | 36900                           | 69947,06                                      | 4300,21                   | 3284,50                    | 2985369,87 |
| საბალანსო დირექტულება  |           |                             |            |            |                        |                                 |                                               |                           |                            |            |
| საბ.დირ. 01.01.2023    | 282752,80 |                             | 1849262,42 | 288187,8   | 11556,64               |                                 | 9070,27                                       | 4929,23                   | 710,41                     | 2446469,57 |
| საბ.დირ. 31.12.2023    | 282752,80 | 1362,27                     | 1709676,67 | 297243,25  | 24951,82               |                                 | 4893,53                                       | 4631,79                   | 410,41                     | 2325922,54 |

5-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური  
ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

კომპანიის მთელ უძრავ ქონებაზე გავრცელებულია ს/ს „თი ბი სი ბანკი“-ს იპოთეკის უფლება, რომლითაც ხდება ხსენებული ინსტიტუტიდან კრედიტით მიღებული თანხების უზრუნველყოფა.

### 11. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

|                                                          | 31-12-23   | 31-12-22   |
|----------------------------------------------------------|------------|------------|
|                                                          | ლარი       | ლარი       |
| მოთხოვნები გაცემული სესხებიდან მეკავშირე საწარმოს მიმართ | 4,446,240  | 5,644,338  |
| სესხებიდან მისაღებიდან პროცენტები                        | 6,142,296  | 5,644,338  |
| გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები                  | 10,340,435 | 10,360,435 |

\* სესხები გაცემულია მეკავშირე საწარმოებზე, შპს „გრატო პასაჟი“, შპს „ვანის სათბურები“, შპს „ისნის სავაჭრო ცენტრი“.

### 12. მარაგები

|                           | 31-12-23 | 31-12-22 | 31-12-21 |
|---------------------------|----------|----------|----------|
|                           | ლარი     | ლარი     | ლარი     |
| ინვენტარი                 | 19,404   | 46,284   | 19,404   |
| საშენი სარემონტო მასალები |          | 3,450    | 502      |
| სულ მარაგები              | 19,404   | 49,734   | 19,906   |

### 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                           | 31.12.2023 | 31.12.2022   | 31.12.2021 |
|-------------------------------------------|------------|--------------|------------|
|                                           | ლარი       | ლარი         | ლარი       |
| მოთხოვნები ძირითადი საქმიანობიდან (იჯარა) | 3,535,550  | 3,498,347.20 | 3,643,611  |
| მოთხოვნები ხელმძღვანელი პირების მიმართ    | -          | -            | 60,000     |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები              | -          | -            | 3,029      |
| ჯამი                                      | 3,535,550  | 3,498,347.20 | 3,706,639  |

\* სავაჭრო მოთხოვნების დიდი წილი ერიცხება ერთ საწარმოს - შპს „ისნის სავაჭრო ცენტრი“.

## 14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

|                                          | 31-12-23 | 31-12-22 | 31-12-21 |
|------------------------------------------|----------|----------|----------|
|                                          | ლარი     | ლარი     | ლარი     |
| ნაღდი ფული                               | 25,647   | 7,886    | 8,734    |
| ფული საბანკო ანგარიშზე                   | 802,409  | 739,675  | 86,492   |
| ფულადი სახსრები და<br>მათი ეკვივალენტები | 828,066  | 747,561  | 95,226   |

## 15. სარეზერვო კაპიტალი

|                                         | 31-12-23   | 31-12-22   | 31-12-21 |
|-----------------------------------------|------------|------------|----------|
|                                         | ლარი       | ლარი       | ლარი     |
| ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი | 275,606.45 | 275,606.45 | 275,606  |
| სხვადასხვა რეზერვები და დაფინანსება     | -          | -          | -        |
| სარეზერვო კაპიტალი                      | 275,606.45 | 275,606.45 | 275,606  |

\* ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი შედგება, 2003 წლამდე საანგარიშო პერიოდებში, საქართველოს კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნების შესაბამისად ძირითადი საშუალებების სავალდებულო გადაფასებით მიღებული თანხით.

\* სხვადასხვა რეზერვებში საწარმოს თანხები გადაჰქონდა გაუნაწილებელი მოგებიდან რამოდენიმე წლის წინ, რასაც ბოლო ხუთი საანგარიშო პერიოდია აღარ ახორციელებს.

## 16. სესხები და კრედიტები

|                                    | 31-12-23  | 31-12-22  | 31-12-21  |
|------------------------------------|-----------|-----------|-----------|
|                                    | ლარი      | ლარი      | ლარი      |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 6,209,336 | 6,209,057 | 7,730,959 |
| სესხები და კრედიტები               | 6,209,336 | 6,209,057 | 7,730,959 |

5-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

## 17.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                                | 31-12-23 | 31-12-22  | 31-12-21  |
|----------------------------------------------------------------|----------|-----------|-----------|
|                                                                | ლარი     | ლარი      | ლარი      |
| საქონლის/მომსახურების მოწოდებიდან<br>წარმოქმნილი ვალდებულებები | 27,353   | 107,848   | 48,524    |
| გადასახდელი დივიდენდი                                          | 352,695  | 1,568,130 | 2,429,840 |
| გადასახდელი ხელფასები                                          | 11       | 11        | 5         |
| გადასახდელი პროცენტები                                         | -        | -         | -         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                  | 380,059  | 1,675,989 | 2,478,365 |

5-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.